ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N16

ქ.თბილისი

13 აპრილი, 2018 წელი
15^{30}საათი

საკრებულოს ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - დავით უჯმაჯურიძე

რამინა ბერაძე - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე;

გიორგი ბირბიჩაძე - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ოთარ გრიგოლია - ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე;

ბექა დავითულიანი - ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;

ლევან დარახველიძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე;

ირაკლი ზარქუა - ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

თევდორე ისაკაძე - სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ერეკლე კუხიანიძე - გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე;

გიორგი მუსხელიშვილი - ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;

თინათინ ნიბლოშვილი - სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე;

ლევან ჟორჟოლიანი - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე;

რევაზ სოხაძე - ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე;

თამარ ტალიაშვილი - განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე;

დავით უთმელიძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე;

გიორგი ჩაკვეტაძე - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე;

ქეთევან ჯოხაძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის საკითხები:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“;
3. „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
4. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25[1] მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის N3-9 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“;
6. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტრო ტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
7. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
8. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3, IV მ/რ., კორპუსი N425-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ.: N01.19.39.002.091; N01.19.39.002.092) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“;

9. „ქალაქ თბილისში, ლიბანის I ჩიხი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.004.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

10. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი ჩაკვეტაძის ანგარიშის მოსმენა ესპანეთში ვიზიტთან დაკავშირებით;

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პოლონეთში მივლინებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის შვებულების მიცემის თაობაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ლიბანის I ჩიხი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.004.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას არ განუხილავს და უმჯობესია, ამოღებული იქნას რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგიდან.

გადაწყვეტილება მიღებული იქნა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 25-28 აპრილს მიემგზავრება პოლონეთში, ქალაქ კრაკოვში, ადგილობრივი მმართველობის ევროპის მე-4 კონგრესზე დასასწრებად. მასთან ერთად, პოლონეთში, მიემგზავრებიან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ოთარ გრიგოლია, დავით უთმელიძე და შალვა ოგბაიძე. გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მივლინების ხარჯებს აანაზღაურებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძემ ბიუროს წარუდგინა ანგარიში ესპანეთში ვიზიტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სამუშაო ვიზიტის მიზანი იყო ბასკეთში არსებული სპორტული კომპლექსების მონახულება, მათი სამუშაო მეთოდოლოგიის გაცნობა და შემდგომ თბილისში მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსების მშენებლობისას, მიღებული გამოცდილების გაზიარება. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ვიტორიაში, ბილბაოსა და ეიბარში, სადაც მოინახულეს რამდენიმე სპორტული და სამოქალაქო ობიექტი. აღსანიშნავია, რომ არსებობს სამი ტიპის მუნიციპალური კომპლექსი: სამოქალაქო ცენტრი, ქალაქის რაიონის მულტიფუნქციური სპორტული ცენტრი და ქალაქის უბნის მულტიფუნქციური სპორტული ცენტრი. თბილისში არსებული რეალობიდან გამომდინარე, მიმდინარე წელს დაიწყება ორი მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა, რომლებიც იქნება ეფექტური, მოსახერხებელი და მოქალაქეებზე მორგებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ განიხილა საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ტყემალაძის განცხადება შვებულებაში გასვლის შესახებ (თარიღი და ნომერი: 13.04.2018წ. N03-0318103107) და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა:

1. მიღებული იქნას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ";
3. „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";
4. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25[1] მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის N3-9 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ";
6. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტრო ტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა" მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";
7. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

8. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3, IV მ/რ., კორპუსი N425-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ.: N01.19.39.002.091; N01.19.39.002.092) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“;

9. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მიეცეს კუთვნილი შვებულება 2018 წლის 16 აპრილიდან 19 აპრილის ჩათვლით. აღნიშნულთან დაკავშირებული შესაბამისი პროცედურების განხორციელება დაევალოს საკრებულოს აპარატს.

3. 2018 წლის 25-28 აპრილს, პოლონეთში, ქ.კრაკოვში, ადგილობრივი მმართველობის ევროპის მე-4 კონგრესზე დასასწრებად, მივლინებული იქნეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და მასვე დაევალოს, მივლინებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხებისა და ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ბრძანების გამოცემა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე _____ გიორგი ახვლედიანი